ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ №3/20

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐ (CPV-481600000)

ქ. თბილისი 02.02.2018წ.

ერთი მხრივ სსიპ **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით, მეორე მხრივ კი ააიპ **„საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი წარმომადგენელი აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი ღარიბაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის ე. ვერულაშვილის მოხსენებითი ბაართი კანცელარიის # MES 9 18 00086773 29.01.2018 წ.) შემდეგზე:

1. ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘ

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.8 „ფორსმაჟორი“ –„მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით,საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

ელექტრონული კატალოგის სისტემა (KOHA).

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას და თანმდევ მომსახურებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

4.1 მიმწოდებელივალდებულია

ა)გაუწიოს შემსყიდველს შემდეგი სახის მომსახურება:

- ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის (koha) სერვერის გამოყოფა ისეთი პარამეტრებით, რაც საჭიროა ამ სისტემის გამართულად მუშაობისთვის.
- სისტემის რეგულარული ტექნიკური მომსახურება, რაც გულისხმობს:
    - სისტემის სრული სარეზერვო ასლის კოპირება კვირაში ერთხელ
    - კატალოგის ჩანაწერების სარეზერვო ასლის კოპირება 2 დღეში ერთხელ
    - სერვერის დაცულობის უზრუნველყოფა
- სისტემის მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული კონსულტაცია და ტექნიკური დახმარება.
- გარანტირებული სერვისის წვდომის დრო არანაკლებ 99%

ბ) აღნიშნული მომსახურება არ მოიცავს:

- ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ან კატალოგიზაციის სტანდარტები
- საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია
- სისტემის ვებ-ინტერფეისის დიზაინის შეცვლა
- კონსულტაციები კომპლექსურ საკითხებზე, რაც აღემატება სისტემის სტანდარტულ გამოყენებას

გ) იმ საკითხებზე, რომლები აღნიშნულია ბ) პუნქტში, შესაძლებელია დამატების ხელშეკრულების დადება ან არსებულ ხელშეკრულებაზე დანართის დამატება.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

ბ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შეათანხმოს საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საორიენტაციო ვადები. განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდვლის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის გადასარიცხი თანხიდან.

7.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

7.2თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

7.3შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე: ა)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

7.5პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3 თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არისფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

11.2შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
11.3მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.# 33 საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB 0330100200165022	**ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017** საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვასილ პეტრიაშვილის ქ., N 20, ბინა N6 ტელ: საიდენტიფიკაციო კოდი: 404533251 საბანკო რეკვიზიტები: თი ბი სი ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი : TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE32TB7275336080100012
თსსუ-ს კანცლერი **ზურაბ ორჯონიკიძე** (ხელმოწერა)	**აღმასრულებელი დირექტორი** **ირაკლი ღარიბაშვილი** (ხელმოწერა) 02.02.18